



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 599
24/08/2018

599-09-4-201808241448



ბრძანება

კურორტ ბეშუმში ირაკლი აბაშიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23.14.35.603) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 30 ივლისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ბათუმის ფალავანდიშვილის ქუჩა №8-ში მცხოვრებ ირაკლი აბაშიძის №7446/09 განცხადებაზე - კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23.14.35.603) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

მის მიერ წარმოდგენილა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლით და მე-IX-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები.

გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ირაკლი აბაშიძის მოთხოვნა და დამტკიცდეს კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23.14.35.603) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული

დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 10 აგვისტოს N1848-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს ირაკლი აბაშიძის მოთხოვნა და დამტკიცდეს კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23.14.35.603) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა